

სახელმწიფოს ხედვა კულტურისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირზე - ანა
რიაზოშენკო, სსიპ “შემოქმედებითი საქართველოს” ხელმძღვანელი

მანამ, სანამ უშუალოდ “შემოქმედებითი საქართველოს” შესახებ მოგახსენებთ ორიოდ სიტყვით, მინდა ვთქვა კულტურის სამინისტროს საქმიანობის შესახებ. მიუხედავად იმისა რომ მე ახლა “შემოქმედებითი საქართველოს” ხელმძღვანელი ვარ, ნაწილობრივ მაინც დელეგირებული მაქვს ეს პოზიცია და შემძლია ვისაუბრო იმ საკითხებზე რომლებიც აქტუალურია. ამ სფეროში ნამდვილად ბევრი პრობლემაა და მათგან უმთავრესია, რომ არ გვაქვს სფეროებს შორის კოოპერაცია და სტრუქტურებს შორის ინფორმაციის გაცვლა. ხშირად ხდება, რომ ცალკეული სახელმწიფო სტრუქტურა ერთი მიმართულებით დამოუკიდებლად მუშაობს, ცალკეულად ხარჯავს თანხებს და რესურსებს მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც ვერ ვიღებთ იმ შედეგს რომელზეც გვინდა ვიყოთ ორიენტირებულები.

ამ ეტაპზე კულტურის სამინისტროს შემადგენლობაშია 86 ორგანიზაცია, რაც საკმაოდ დიდ რესურსს და ბიუჯეტს მოიცავს.

კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო, კინოცენტრი, მუზეუმები (25) თეატრები(29) შემოქმედებითი საქართველო, შემოქმედებითი და კვლევითი ცენტრები (4) სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებები (15) ორკესტრები და მუსიკალური ცენტრები (5) ფოლკლორის ცენტრი და სახელმწიფო ანსამბლები (5)

იგი მუშაობს შემდეგი მიმართულებებით :ქართული კულტურის პოპულარიზაცია, რეგიონალური პროგრამები, ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობა, საერთაშორისო ურთიერთობები, კულტურული მემკვიდრეობა, პროექტების მართვა

ასევე განსაზღვრულია სახელმწიფოს ხედვა კულტურისა და ეკონომიკის მიმართულებით სტრატეგია 2025-ის პრიორიტეტების მიხედვით:

მიზანი: კულტურა ყველასთვის ხელმისაწვდომია საქართველოში, რეგიონების,მათ შორის, მაღალმთიანი რეგიონების, საზღვრისპირა მუნიციპალიტეტების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების და ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის ჩათვლით.

- ✓ კულტურის მრავალფუნქციური სივრცეების, შექმნისა და განვითარების, შესაბამის შენობათა რეკონსტრუქციის ხელშეწყობა, ქვეყნის მასშტაბით, შესაბამისი კვლევების და კრიტერიუმების წარმართვა,შემუშავება;
- ✓ კულტურის მართვის გაუმჯობესების მიზნით, კულტურის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის განსაზღვრა, გაძლიერება;
- ✓ კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, ინოვაციური მეთოდების გამოყენების მხარდაჭერა;

მაგალითად კულტურული ტურიზმია წარმოადგენს სტრატეგიის ერთერთ პრიორიტეტს, როგორც :

ტურიზმის მდგრად განვითარებაში კულტურული რესურსის ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენა და მისი გამოყენება უნიკალური, ავთენტური და საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანი ტურისტული შთაბეჭდილების შესაქმნელად;

ასევე კულტურის ობიექტების მენეჯერებისა და ტურიზმის ინდუსტრიებისთვის გადამზადების პროგრამების შემუშავება ტურისტული ბაზრის, შესაბამისი ტენდენციების, ტურისტული მარკეტინგის, ასევე, სხვადასხვა კულტურული რესურსის მნიშვნელობის და ტურიზმის განვითარებაში მისი გამოყენების შესაძლებლობების, კულტურული ტურიზმის ეკონომიკის, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების და სხვა შესაბამისი საკითხების შესახებ;

კულტურული ტურიზმის განვითარების მიზნით საჯარო-კერძო პარტნიორობის ხელშეწყობა

ადგილობრივი და საერთაშორისო კულტურული მარშრუტების განვითარება და საქართველოს ჩართვა საერთაშორისო კულტურული მარშრუტების პროგრამებში;

შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლებზე და გარემოზე ტურიზმის უარყოფითი გავლენის შემცირების, ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური სარგებლის გაზრდის მიზნით და ა.შ.

რაც შეეხება “შემოქმედებით საქართველოს“, ეს ახალი ორგანიზაციაა, რომელშიც თანამშრომლობს თითქმის ყველა საქართველოში და არამხოლოდ საქართველოში არსებულ კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციასთან.

ჩვენი ორგანიზაციის ძირითადი მიზანია საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ თუ რა პოტენციალი და რესურსი გააჩნიათ, ასევე პროფესიული განვითარება.

ორგანიზაცია შედგება ორი ძირითადი მიმართულებისგან, პირველი ეს არის შემოქმედებითი ევროპის დესკი, რაც გულისხმობს რომ შემოქმედებითი საქართველოს საშუალებით ინფორმაცია ვრცელდება შემოქმედებითი ევროპის პროგრამის შესახებ. ინფორმაცია თუ რა გრანტები არსებობს, როგორც შეიძლება ამ გრანტების მოძიება, იმართება საჯარო კონსულტაციები და ასევე ტრენინგები კონკრეტული მიმართულებებით.

ჩვენი ორგანიზაციის მეორე მიმართულება გახლავთ შემოქმედებითი ინდუსტრიები, რომელიც ახალი მიმართულებაა არამარტო საქართველოსთვის. ამ მიმართულებით ჩვენ გვაქვს ჩვენი ხედვები, რომლებიც გვინდა გაგიზიაროთ.

2017 წლის პრიორიტეტებია: კვლევები და მეპინგი, თანამშრომლობითი და გაცვლითი პლატფორმების ხელშეწყობა, ინსტიტუციური და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

ვმუშაობთ შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ ცნობადობის ამაღლება შემოქმედებითი ევროპის და შემოქმედებითი ინდუსტრიების შესაძლებლობების შესახებ - საინფორმაციო ტური რეგიონებში, მენტორული პროგრამები, ტრენინგები;
- ✓ RE-CONCEPT შემოქმედებითი სივრცეების განვითარების ახალი შესაძლებლობების გამოკვეთა, მოდელების შემუშავება - ლაბები, სემინარები, მენტორობა, ლობირება;
- ✓ კვლევა არსებული კულტურული რესურსების შესახებ - ხელშეწყობა;
- ✓ საგანმანათლებლო აქტივობები პროფესიული განვითარების მიზნით - ტრენინგები;
- ✓ პერიოდული კულტურული ღონისძიებების ეფექტურობის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება - კვლევის და პროგრამის ხელშეწყობა;
- ✓ კულტურული მარშრუტების მონაცემთა ბაზა/ვებგვერდი/სახელმძღვანელო - მომზადება;